ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 02-22/27

ქ. თბილისი **25 იანვარი 2021 წელი**

ერთი მხრივ - სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო (შემდგომში - „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის ჯემალ გვეტაძის სახით, და მეორე მხრივ - **შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“** (შემდგომში - „მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი პაპიაშვილის სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში

1.6 „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „ფორსმაჟორი“ - მხარეებისათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ,,შემსყიდველისა“ და/ან ,,მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა ისეთი მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანის საბურავების მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს ამა წლის 29 იანვრისა.

2.2 შესასყიდი საქონლის რაოდენობა არის 4 (ოთხი) ცალი საბურავი, დანართი №1-ის შესაბამისად.

2.3 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: **CPV-34351000 (მცირე ტვირთამწეობის მანქანების საბურავები)**.

2.4 მოწოდების ადგილი - ქ. ბათუმი.

2.5 <u>დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.</u>

3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა: 960 (ცხრაას სამოცი) ლარი, დანართი №1-ის შესაბამისად.

3.2 საბურავების ფასი მოიცავს მათი მონტაჟის და ბალანსირების ღირებულებას.

4. საქონლის მიღება - ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

4.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების და კანონმდებლობის შესაბამისი მომსახურების გაწევა.

4.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება- ჩაბარების აქტი ან/და სხვა საგადასახადო დოკუმენტი.

4.3 საქონელი ჩიათვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარებისაქტის ან/და სხვა საგადასახადო დოკუმენტი გაფორმების შემდგომ.

4.4 მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანის საბურავების მიწოდებისას ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ- ფაქტურის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება ხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

5. მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

ბ) საქონლის მიწოდება განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

გ) პასუხი აგოს საბურავების ხარისხისზე.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება

5.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.

5.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს ხარისხიანი საქონელის მიწოდება.

ბ) განახორციელოს საბურავის ინსპექტირება, რაც შეიძლება გულისხმობდეს საბურავის ვიზუალურ შემოწმებას ან შესაბამის ექსპერტიზას.

გ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ.

6. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის

6.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

6.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირსაგამტეხლო ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.02%.

6.3 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლო შეადგენს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 % (ათ პროცენტს).

6.4 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

7.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

8.3 მხარეთა შორის დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით.

9. სხვა პირობები

9.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

9.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს შესრულებული ქართულ ენაზე.
9.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.
9.5 წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ასევე დასტურდება, რომ შემსყიდველის წარმომადგენელს (ჯემალ გვეტაძე) არ გააჩნია, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტი მომწოდებელთან.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 მარტის ჩათვლით.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო ს/კ: 245675880 მის: ქ. ბათუმი, მ.აბაშიძის 41 ტელ: 577 23 26 55. სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი TRESGE22 სახაზინო კოდი 709427323 **დირექტორის მოადგილე** /ჯემალ გვეტაძე/	**შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“** ს/კ: 206239729 მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ ტელ: 03222444744. ბანკი: სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE48TB1100000360200490 **დირექტორი** /ირაკლი პაპიაშვილი/

Jemal Gvetadze

Подписано цифровой подписью: Jemal Gvetadze
Дата: 2021.01.25 14:57:59 +03'00'

LLC Tegeta Truck & Bus

Digitally signed by LLC Tegeta Truck & Bus
DN: cn=LLC Tegeta Truck & Bus, 2.5.4.97=NTRGE-206239729, o=LLC Tegeta Truck & Bus, c=GE
Date: 2021.01.25 18:19:37 +04'00'

დანართი №1

წინამდებარე დანართი გამოიყენება მხოლოდ ჩვენს მიერ 2021 წლის 25 იანვარს დადებულ ხელშეკრულებასთან (სარეგისტრაციო N **02-22/27**) ერთად.

ზომა	რაოდენობა	ბრენდი	ერთეულის ფასი	ჯამური ფასი	მიწოდების თარიღი
R16C 215/75	**4**	**HIFLY**	**240**	**960**	ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2021 წლის 29 იანვრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

„შემსყიდველი“
სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო
ს/კ: 245675880
დირექტორის მოადგილე
ჯემალ გვეტაძე

Jemal Gvetadze
Подписано цифровой подписью: Jemal Gvetadze
Дата: 2021.01.25 14:58:27 +03'00'

„მიმწოდებელი“
შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“
ს/კ: 206239729
დირექტორი
ირაკლი პაპიაშვილი